

არაფორმალური განათლების გავლენა ახალგაზრდების პიროვნების
ფორმირებაზე

ნინო ბუჭაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა

და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო სხირტლაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,

2020

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნინო ბუჭაშვილი, 2020 წელი.

აბსტრაქტი

საკითხი: თანამედროვე საზოგადოებაში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება არაფორმალური განათლების სხვადასხვა სახის პროგრამები, რადგან ფორმალური განათლების გარემო სრულად ვერ აკმაყოფილებს იმ საგანმანათლებლო მოთხოვნებს, რომლებიც დღევანდელ სოციუმში იჩენს თავს. ცნობილია, რომ არაფორმალური განათლება გავლენას ახდენს მასში მონაწილე ინდივიდზე. ასევე, კვლევები მიუთითებენ არაფორმალური განათლების დადებით გავლენაზე პიროვნების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით, მათ შორის, იდენტობის ფორმირების კუთხით. საქართველოს რეალობაში არაფორმალური განათლების გავლენა არაა ნაკვლევი.

მიზანი: არაფორმალური განათლების გავლენა პიროვნების ფორმირების პროცესზე, მათ შორის, იდენტობის ჩამოყალიბებასა და ღირებულებათა სისტემაზე. საქართველოში განხორციელებული არაფორმალური განათლების პროგრამებში მონაწილე ახალგაზრდების ინდივიდუალური გამოცდილების შესწავლის გზით.

მეთოდი: წარმოდგენილ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 20-27 წლის 4 მდედრობითი და 5 მამრობითი სქესის ახალგაზრდამ, რომელთაც ერთხელ მაინც ჰქონდათ მიღებული მონაწილეობა არაფორმალური განათლების პროგრამაში. მონაცემები შეგროვდა ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს საშუალებით.

შედეგები: მონაცემების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი თემა: პიროვნული განვითარება და ხელშემწყობი გარემო პიროვნული განვითარებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არაფორმალური განათლება, იდენტობის ფორმირება, ღირებულებათა სისტემა.

Abstract

Issue: As there are some educational needs that are not covered by public services, non formal educational programs are becoming increasingly popular in contemporary society. It is well known that non formal education has an impact on its participants. Also, some stream of literature focused on the positive influence of non - formal on different personality aspects. Some scholars point to the link between non - formal education and identity formation. The impact of non formal education is not investigated in Georgian reality.

Goul: The purpose of the presented study is to investigate the impact of non - formal education on personality formation, including, identity and value system development by studying participants' personal experience connected with non - formal educational programs.

Methods: 9 Young adults between the ages of 20 to 27 (4 females) were interviewed. Precondition of participation in research was involvement in non - formal educational programs at least once.

Results: Thematic analysis revealed two main themes: Personal development and Supportive settings for personal development.

Keywords: Non Formal Education, Identity formation, Value system.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორ ნინო სხირტლაძეს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

მადლობას ვუხდის რესპოდენტებს კვლევაში მონაწილეობისთვის.